ოქმი:**ო63. 6324096001**
თარიღი:**05/04/2024**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი N 13

ქ. სამტრედია. 5 აპრილი, 2024 წელი.

2024 წლის 5 აპრილს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ნუგზარ ჯამბურია, ვაჟა სტურუა, ნათია პაპავა, ვალერიანე ფოცხვერია, მანანა სირბილაძე, მერაბ უღრელიძე, ტარიელ ცომაია, ირაკლი მელაშვილი, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი.

ასევე სხდომას ესწრებოდა:

1. საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება''-ს თავმჯდომარის მოადგილე, უმრავლესობის ლიდერი, გოჩა არველაძე.

2. საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი, ნორა იანიკოვი.

დღის წესრიგი

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მერიიდან შემოსული წერილობითი მომართვების განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ნუგზარ ჯამბურია./

2. სხვადასხვა.

კენჭისყრის შედეგად (10 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26–ე მუხლის მე–2 პუნქტის ,,ა“–ქვეპუნქტის მიხედვით, მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით, წარმოდგენილია ერთი საკითხი საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე განსახილველად და

დასამტკიცებლად, ხოლო მეორე საკითხი, რომელიც ეხება მერიის საშტატო ნუსხაში ცვლილებას, განიხილება ბიუროს რიგით სხდომაზე. შესაბამისად, ბიუროს წევრებს გააცნო:

1. ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 4 აპრილის*** № : 62-622409556, წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ,,საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2024 წელს განსახორციელებელი 48 პროექტის მოწონების შესახებ", განკარგულების პროექტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე განხილვისა და დამტკიცების საკითხს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 01 აპრილის №62-6224092103 მომართვაზე თანდართული დანართი N1-ის შესაბამისად.

(მომართვის № : 62-622409556, 04/04/2024 წ. საკრებულოს რეგისტრაციის, **N: 12-63240956-63, 04/04/2024** წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, განმხილველ კომისიად განისაზღვრა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისია.

2. ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 1 აპრილის*** № 62-6224092109 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების განსაზღვრის შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს - მერის მრჩეველს საინვესტიციო და საგრანტო პროგრამების მომზადების და განხორციელების საკითხებში, დაემატება ინფრასტრუქტურის მიმართულება. ცვლილების შედეგად, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის - ,,საინვესტიციო და საგრანტო პროგრამების მომზადების და განხორციელების საკითხებში მერის მრჩეველი''-ს სახელშეკრულებო შტატის სახელწოდება შეიცვლება და იქნება შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - ,,უფროსი სპეციალისტი საინვესტიციო და საგრანტო პროგრამების მომზადების და განხორციელების და ინფრასტრუქტურის საკითხებში''.

(მომართვის № 62-6224092109, 01/04/2024 წ. საკრებულოს რეგისტრაციის, **N: 12-63240927-63, 01/04/2024** წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, განმხილველ კომისიად განისაზღვრა იურიდიულ, ადამიანის ფულებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისია.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე.

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი